სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

03 დეკემბერი 2025

N 746/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოზე თბილისში „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ

2025 წლის 25 ნოემბერს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მომართა „ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ თბილისში“ და შპს „REFCO“-მ და ითხოვეს შპს „REFCO“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული R410A (HFC-32/HFC-125) – 56.7 კგ-ის ოდენობით იმპორტის ნებართვის „ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოზე თბილისში“ გადაცემა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, შპს REFCO“-ს და „ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო თბილისში“-ს 2025 წლის 25 ნოემბრის N11797 ერთობლივი განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოზე თბილისში (საიდენტიფიკაციო კოდი: 204396313) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

- R410A (HFC-32/HFC-125) – 56.7 კგ.

2. ნებართვა ძალაშია მისი გამოცემიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათლით.

3. ამ ბრძანებით განსაზღვრული ნივთიერების იმპორტი ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი წესით.

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თბილისში.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს დაინტერესებული მხარისათვის ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/746-21-4-202512031639

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE